ციფრული ტრანსფორმაცია და ხელოვნური ინტელექტი

ნია ბაციკაძე

ახალი რეალობა

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელსაც აღარ ქმნიან მხოლოდ ადამიანები, არამედ ალგორითმები, მონაცემები და ციფრული მანქანები. ციფრულმა ტრანსფორმაციამ და ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) შეცვალა ჩვენი მუშაობის, სწავლის, კომუნიკაციისა და აზროვნების წესები. ეს ცვლილებები ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია, თუმცა ჩნდება მთავარი კითხვა: ჩვენ ვმართავთ ამ ტრანსფორმაციას – თუ ის უხმაუროდ გვცვლის ჩვენ?

დღევანდელობაში, AI იმდენად მძლავრ მექანიზმად იქცა, რომ მან გავლენა ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებზე.

აზროვნება

ჩვენი აზრები და გადაწყვეტილებები ფორმირდება AI-ის გავლენით: საძიებო სისტემები გვთავაზობენ პასუხებს, სოციალური ქსელები კი მიმართულებას აძლევენ ჩვენს შეხედულებებს.

განათლება

განათლებაში, AI ეხმარება მოსწავლეებსა და სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო რესურსების მოძიებაში და საგანმანათლებლო ასისტენტს წარმოადგენს, თუმცა ის აზიანებს კრიტიკული აზროვნებას და აზარმაცებს ახალ თაობას.

მედია და კომუნიკაცია

ციფრული პლატფორმები გლობალურად გვაკავშირებს: გვიადვილდება ერთმანეთთან კომუნიკაცია, შეგვიძლია ახალი ამბების ეპიცენტრში მუდამ ყოფნა და ა.შ. ამის მიუხედავად, ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად იზრდება ყალბი ამბების გავრცელების შემთხვევები და ონლაინ საფრთხეები.

კვლევა ხელოვნური ინტელექტის გავლენებზე



სიზარმაცე

კვლევამ აჩვენა, რომ AI-ს გამოყენება ზრდის სტუდენტებში სიზარმაცეს. გამოკითხულთა 68.9%-მა აღნიშნა, რომ AI ხელს უშლის მათ სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობაში და ამცირებს მოტივაციას.

პირად მონაცემთა უსაფრთხოება

გამოკითხულთა 68.6% სკეპტიკურად უყურებს პირად მონაცემთა დაცვის პოლიტიკას და სჯერათ, რომ ხელოვნური ინტელექტისთვის მიწოდებული სენსიტიური ინფორმაცია დაცული არაა.

გადაწყვეტილებების მიღების უნარი

27.7% სტუდენტებისა თვლის, რომ AI-ზე ჭარბად დამოკიდებულებამ შეასუსტა მათი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

კვლევა - ხელოვნური ინტელექტის გავლენა გადაწყვეტილებების მიღების უნარის დაქვეითებაზე, სიზარმაცესა და უსაფრთხოებაზე განათლებაში (Nature.com)

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული პროგრესი უამრავ სარგებელს გვთავაზობს, მას თან ახლავს მნიშვნელოვანი გამოწვევებიც.

ხელოვნური ინტელექტისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენება შეიძლება შევადაროთ მედალს, რომელსაც ორი მხარე აქვს, დადებითი და უარყოფითი, მათი გავლენა და საბოლოო შედეგი კი დამოკიდებულია იმაზე, როგორ ვიყენებთ და ვმართავთ ციფრულ ხელსაწყოებს.

თუკი არ გვექნება ცნობიერება ციფრული ხელსაწყოების ეთიკური გამოყენების შესახებ, შესაძლოა, რისკები მზარდად განვითარდეს და სავალალო შედეგების წინაშე აღმოვჩნდეთ (პარალელურ სარგებელთან ერთად).

რას განიხილავს ეს ნაშრომი და რატომაა მისი წარდგენა მნიშვნელოვანი

ნაშრომი იკვლევს ციფრული ტრანსფორმაციისა და ხელოვნური ინტელექტის გავლენას ყოველდღიურ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით განათლებაზე, აზროვნებასა და ადამიანურ ურთიერთობებზე.

ნაშრომის ფარგლებში განიხილება სხვადასხვა დაწესებულების მიერ წარმოებული კვლევა (Nature, MDPI, ERIC), რომელთა რეზულტატებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი ხდება ციფრული ტრანსფორმაციის უფრო ფართო ჭრილში განხილვა და მის შედეგებზე ღიად საუბარი.

ნაშრომის წარდგენა ამ კონფერენციაზე არის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა არა მხოლოდ ცოდნის გასაზიარებლად, არამედ ტექნოლოგიასა და ადამიანურ ღირებულებებს შორის „დიალოგის“ წარსამართად და რეალური შედეგების განსახილველად. ეს არის შესაძლებლობა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა მიმართულებით მივდივართ და როგორ უნდა დავიცვათ ჩვენი ადამიანურობა ტექნოლოგიურ ცვალებადობაში.

დასასრულს, ვფიქრობ, რომ ციფრული ტრანსფორმაცია და ხელოვნური ინტელექტი ისეთივე დიდ გავლენას ახდენს ჩვენზე, როგორც ნებისმიერი ტექნოლოგიური ძვრა წარსულში, მაგრამ ბევრად ღრმა დონეზე ცვლის ჩვენს ურთიერთობებს, სწავლას, არჩევანს, თვითაღქმასაც კი. ამავდროულად, გვეხმარება ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და არნახული აღმოჩენების გაკეთებაში.

შესაბამისად, ამ თემაზე ღიად პოზიციის დაფიქსირება და დისკუსიის წარმართვა აუცილებელია, რათა თითოეულმა ჩვენგანმა კარგად გააანალაზოს ციფრული ტრანსფორმაციისა და AI განვითარების დადებითი და უარყოფითი მხარეები, პოტენციური შედეგები და უკვე არსებული მაგალითების საფუძველზე გავაუმჯობესოთ მისი მოხმარების ეთიკურობა და ხარისხი.